

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნინო თაგოშვილი

XXI საუკუნის გლობალური ფინანსური კრიზისი და  
მისი გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე:  
პრობლემები, ანალიზი, გამოცდილება

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თელავი  
2017

სამუშაო შესრულებულია სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის ეკონომიკისა და ტურიზმის დეპარტამენტში, (“გამოყენებითი ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)

**სამეცნიერო ხელმძღვანელი:** ეკონომიკის დოქტორი, პროფ. მაია გონაშვილი

**შემფასებლები (რეცენზენტები):** ეკონომიკის დოქტორი, ასოც. პროფ. მაია ალადაშვილი  
ეკონომიკის დოქტორი, პროფ. ლალი ჩაგელიშვილი

დაცვა შედგება 2017 წლის „18 ნოემბერს“ 13.00 საათზე სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის სადისერტაციო კოლეგიის სხდომაზე: თესაუს მცირე დარბაზში.

მისამართი: საქართველო, თელავი, 2200  
ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1  
ტელ: +995 350 27 24 01

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და ვებ-გვერდზე:  
<http://tesau.edu.ge>

სადისერტაციო საბჭოს მდივანი  
ეკონომიკის დოქტორი, ასოც. პროფ. ნანა რინკიაშვილი

## თემის აქტუალობა

პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისები ყოველთვის იყო, არის და მომავალშიც იქნება ეკონომიკურ მეცნიერებათა შესწავლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ობიექტი. ეს ბუნებრივიცაა, რადგან კრიზისთა გამომწვევი მიზეზების, მათი გადალახვის გზებისა და საბოლოო ჯამში მისი სრულყოფილი ანალიზი, ანალოგიური ეკონომიკური კრიზისების იოლად დაძლევის, ან თავიდან აცილების აუცილებელი ხელშემწყობი პირობაა. თავისი განვითარების ხანგრძლივ პერიოდში კაცობრიობა ზოგჯერ ევოლუციური, უფრო ხშირად კირევოლუციური გზით ცდილობდა უკეთესი მომავლის უზრუნველყოფას, რასაც შედეგად არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემათა რეფორმირება, ან მათი ახლით შეცვლა მოჰყვებოდა ხოლმე. ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩოები მოიცავს ეკონომიკური კრიზისების მთელ ციკლს, მაგრამ აქცენტი გაკეთებულია XXI-საუკუნის მსოფლიო ფინანსური კრიზისის გამომწვევი მიზეზებისა და მისი დაძლევის გზების ძიებაზე.

XXI-ე საუკუნის კრიზისი გახლავთ ცალკეული სოციალური, ფინანსური და პოლიტიკურ ინტერესთა

ჯგუფების ქცევის ხასიათში გამოვლენილი მანკიერების შედეგი. - რასაც შედეგად მოყვა, ჯერ ამერიკის, შემდეგ კი მთელი მსოფლიოს ფინანსურად მართული კრიზისი. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ წინამდებარე ნაშრომის თემატიკა, მისი ცალკეული ასპექტების შესწავლისადმი მიძღვნილი ნაშრომების სიუხვის მიუხედავად, აქტუალურობას არასოდეს დაკარგავს და თუნდაც ერთი უმნიშვნელო სიახლის, ან მიდგომის დაფიქსირება წაადგება ისტორიული პროცესის სრულყოფილად გააზრების საქმეს.

ამრიგად, წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის კვლევის საგანია XXI-ე საუკუნის მსოფლიო ფინანსური კრიზისის გამომწვევი მიზეზები და მისი დაძლევის გზების ძიება. რაც უახლესი ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარდატეხის მომენტია.

### **კვლევის მიზანები და ამოცანები**

კვლევის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ დღევანდელი კრიზისული სიტუაციის მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ვაჩვენოთ, თუ რა პროცესები მიმდინარეობდა და რამ განაპირობა მსოფლიო ფინანსური კრიზი-

სი. სადისერტაციო ნაშრომში ასახული კვლევის ძირითადი მიზანია მსოფლიო ეკონომიკური კრიზისების გამომწვევი მიზეზები და დაძლევის გზები. აქედან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომის წინაშე კვლევის დასახული ამოცანები ითვალისწინებს ისეთი საკითხების შესწავლას, როგორცაა: ეკონომიკური სტრატეგია; სახელმწიფო მონოპოლიების გამოცხადება; სახელმწიფო კონტროლი და მისი ფუნქციები; ფულად-საკრედიტო პოლიტიკა; საბანკო სისტემის ლიკვიდურობის შემცირება; სურსათის და სხვა სამომხმარებლო საქონლის ფასების ზრდა; მსხვილი კომპანიების საკრედიტო დავალიანებების მოსალოდნელი დეფოლტი; უძრავი ქონების ფასების დაუსაბუთებელი მკვეთრი ვარდნა; ეკონომიკის მართვის სისტემის მოშლა; დემონოლოგიური კრიზისი; ენერგეტიკული რესურსების უკმარისობა.

### **კვლევის საგანი და ობიექტი**

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული კვლევის საგანია კრიზისის შედეგად მსოფლიო ეკონომიკის ტრანსფორმირება, ხოლო კვლევის ობიექტია კრიზისის გამო მსოფლიო ქვეყნების მთავრობები, მათ მიერ ჩატა-

რებული ეკონომიკური რეფორმები და მისი თავისებურებანი.

### **კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები**

კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს: ადგილობრივი და საზღვარგარეთის ქვეყნების მეცნიერთა, ეკონომისტთა და პოლიტიკოსთა თეორიული და გამოყენებითი ხასიათის გამოკვლევები, ასევე თეორიები ეკონომიკურ, სტატისტიკურ, პოლიტიკურ მეცნიერებებსა და ფილოსოფიაში. სადისერტაციო ნაშრომში განხილული პრობლემური საკითხების მეცნიერული გამოკვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველია თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური თეორია, ეკონომიკურ ისტორიაში, დოქტრინებში გამოქვეყნებული ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები. ნაშრომი თავს უყრის ეკონომიკური კრიზისების შესახებ კვლევების, თეორიების, ეკონომიკური კრიზისების ციკლების და მათი გაზომვის, ანალიზის და განზოგადების საშუალებებს.

### **ნაშრომის მეცნიერული სიახლე**

ნაშრომი წარმოადგენს ეკონომიკური კრიზისების

თეორიების ისტორიულ ექსკურს: აჯგუფებს სხვადასხვა ეკონომიკური კრიზისების თეორიებს, ერთმანეთთან აკავშირებს მაკროეკონომიკურ და მიკროეკონომიკურ კანონებს და გვთავაზობს ეკონომიკური კრიზისის და ეკონომიკური რყევების გამომწვევ დასაბუთებულ მიზეზებს. ასევე XXI საუკუნის დასაწყისის გლობალური ფინანსური კრიზისის დაძლევის კონცეფტუალურ მიდგომებს და ახლებურ ხედვას სახელმწიფოს პოლიტიკურ მართვაში - უახლოესი პერიოდის ანტიკრიზისული ღონისძიებების შესახებ.

ნაშრომში დეტალურადაა განხილული მსოფლიო ეკონომიკური კრიზისების ტენდენციები და მიმართულებები, ეკონომიკური ზრდის პოტენციალი. ამ მხრივ მაკროეკონომიკური პოლიტიკის მიღწევები და ჩავარდნები. ასევე ნაშრომი გვთავაზობს ეკონომიკური კრიზისის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის გაუმჯობესების მიმართულებებს.

### **სადისერტაციო ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა**

კვლევით მიღებული შედეგების გათვალისწინება ხელს შეუწყობს: პირველი, ჩვენს ქვეყანაში საბაზრო

ეკონომიკის საბოლოოდ დამკვიდრებას, ასევე, თუ როგორ აისახება გლობალური კრიზისის დინამიკაში, სახელმწიფოს მართვის პრობლემები. კვლევის შედეგები და დასკვნები შეიძლება გამოყენებულ იქნას ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მიერ, ანტიკრიზისული ღონისძიებების გატარების პროცესში. ნაშრომში განხილული საკითხების გამოყენება მიზანშეწონილია საერთაშორისო ბიზნესის სალექციო კურსში, ეკონომიკური სტაბილურობისა და ზრდის პრაქტიკული ასპექტების შესწავლისას.

### **სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა**

სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 159 გვერდს. შედგება ანოტაციის, შესავლის, სამითავის, ცხრა ქვეთავის, კვლევის შედეგების და რეკომენდაციების, დასკვნის და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან, რომელსაც დანართი ერთვის CD დისკით.

### **შესავალი**

თავი I. XXI საუკუნის გლობალური ფინანსური კრიზისის თეორიული მიმოხილვა



1.1. XXI საუკუნის დასაწყისის გლობალური ფინანსური კრიზისის თავისებურებანი ამერიკის შეერთებულ შტატებში

1.2. XXI საუკუნის დასაწყისის გლობალური ფინანსური კრიზისის თავისებურებანი რუსეთში და მისი კრიტიკული ანალიზი

1.3. ეკონომიკური გლობალიზაციის თავისებურებანი - პოზიტიური და ნეგატიური მხარეები

**თავი II. XXI საუკუნის გლობალური ფინანსური კრიზისი: პრობლემები და მათი ანალიზი**

2.1. გლობალური კრიზისის დინამიკა და სახელმწიფოს მართვის პრობლემები

2.2. XXI საუკუნის დასაწყისის გლობალური ფინანსური კრიზისის ანალიზი და მისი გავლენა საქართველოზე

2.3. გლობალიზაცია და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები ფინანსური კრიზისის წარმოქმნისას

**თავი III. XXI საუკუნის დასაწყისის გლობალური ფინანსური კრიზისი: გამოცდილება და ანტიკრიზისული ღონისძიებები**

3.1. ახლებური მიდგომები სახელმწიფოს პოლიტი-

კურ მართვაში - უახლოესი პერიოდის ანტიკრიზისული ღონისძიებების შესახებ

3.2. XXI საუკუნის გლობალური ფინანსური კრიზისის დაძლევის კონცეფტუალური მიდგომები

3.3. XXI საუკუნის გლობალური ფინანსური კრიზისის დაძლევის მიმართულებები საქართველოში კვლევის შედეგები და რეკომენდაციები. დასკვნა გამოყენებული ლიტერატურა

### **თავი I. „XXI საუკუნის გლობალური ფინანსური კრიზისის თეორიული მიმოხილვა“**

მოცემულ თავში დეტალურადაა გაანალიზებული XXI-ე საუკუნის დასაწყისის გლობალური ფინანსური კრიზისის გამომწვევი მიზეზები. ასევე განხილულია გლობალური კრიზისის თავისებურებანი და განხილულია ეკონომიკური გლობალიზაციის პოზიტიური და ნეგატიური მხარეები.

კრიზისის გამომწვევ მიზეზად კრედიტის გაფართოვების ეკონომიკურად დაუსაბუთებელი პოლიტიკა იქცა, რეალური ღირებულების შეფასებაში დაშვებული

შეცდომები და მენეჯმენტის ტრანსფარენტულობა. ამ ნაკლოვანებებს დამატებით სიმძიმეს რისკების სათანადო შეუფასებლობა მატებდა, სესხების არასაკმარისი უზრუნველყოფადობის და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების (მაგ: დერივატივების) უგულებელყოფა და შეუფასებლობა, რამაც გამოიწვია საკრედიტო ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა.

მთავრობების არაადეკვატურმა მარეგულირებელმა პოლიტიკამ საკუთარი წვლილი შეიტანა და გზა გაუკვალა მიმდინარე კრიზისს. კრიზისი მთავრობების წარუმატებლობაა და მათ უნდა აგონ პასუხი საზოგადოების წინაშე, თუმცა მიზეზი ფინანსური ინსტიტუტების დანაშაულებრივი ქმედებებია. ეს დანაშაულებები მთავრობების წაყრუების შედეგია. მთავრობები მორიგი რეფორმების აუცილებლობის წინაშე დადგნენ. ფინანსურ ბაზარზე მიმდინარე მანკიერი პროცესების მსხვერპლი გახდა საზოგადოება, მთავრობების რეპუტაცია და კომპეტენტურობა, ფინანსურმა ინსტიტუტებმა ნდობა დაკარგა.

დღევანდელი ფინანსური კრიზისის გამომწვევი მიზეზი ამერიკის შეერთებული შტატების უძრავი ქონე-

ბის ბაზრის დეფლოტი გახდა.

კრიზისი თავისი ანატომიით აღიქმება, ერთი მხრივ, საფრთხე ცხოვრებისათვის, მეორე მხრივ კი მიგვანიშნებს, ხელსაყრელი შესაძლებლობის ძიებასა და ოპტიმალური გზების გამონახვას. კერძოდ, საფუძველი ეყრება ახალ დარგებსა და საბაზრო სეგმენტებს, იქმნება ახალი ტექნოლოგიები, მაქსიმალურად გამოიყენება ინოვაციები, ხდება მაქსიმალურ დაუსაბუთებელ მოგებაზე ორიენტირებული ტენდენციების უარყოფა და წინა პლანზე წამოიწევა ეფექტური ინვესტირების მეთოდები, სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის გამოყენებით წარმოება და საფინანსო სექტორი გადადის მართვის ახალ მეთოდებზე.

XXI საუკუნის დასაწყისში ძირითადად ეკონომიკურმა ტენდენციებმა მსოფლიოს ინდუსტრიული ქვეყნები აიძულა ერთმანეთთან ურთიერთობებში ძალისმიერი და იძულების პოლიტიკა შეეცვალათ დიალოგისა და თანამშრომლობის პოლიტიკით. გლობალიზაციის პროცესთან დაკავშირებით არსებობს ორი რადიკალურად განსხვავებული შეხედულება: პირველი, გლო-

ბალიზაცია წარმოადგენს პროგრესულ პროცესს, რომელიც ხელს შეუწყობს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას და მეორე, გლობალიზაცია ემუქრება ცალკეულ ეროვნულ სახელმწიფოს (განსაკუთრებით განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს) და ამავე დროს, წარმოადგენს მთლიანად მსოფლიო ეკონომიკის განვითარებისათვის საშიშ ტენდენციას. გლობალიზაციის ყოვლისმომცველი და წინააღმდეგობრივი ხასიათიდან გამომდინარე, გლობალიზაციისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება სავსებით ლოგიკურია. გლობალიზაციის ანლიზის პირველი ნაბიჯია, მისი, როგორც ობიექტური პროცესის გაცნობიერება. გლობალიზაციას ჰყავს მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც. მომხრეები მის დადებით ასპექტებზე ამახვილებენ ყურადღებას, მოწინააღმდეგენი კი – უარყოფით ასპექტებზე.

ამრიგად, გლობალიზაცია შეიძლება შეფასდეს, როგორც დადებითად ასევე უარყოფითად. გლობალიზაციის პროცესში აუცილებელია ქვეყანას შეეძლოს ეკონომიკური გლობალიზაციის უარყოფითი გამოვლინებების მაქსიმალური შემცირება და რისკების დაზღვე-

ვა. ბუნებრივია ქვეყანას უნდა შეეძლოს გლობალური ეკონომიკის უარყოფითი ტენდენციების თავიდან აცილება. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ გლობალიზაციის ყველა დადებითი მხარე ყოველთვის არ მოერგება ეროვნულ სახელმწიფოებრივ ინტერესებს. ამიტომ უფრო ლოგიკურად მივიჩნევთ, რომ ყველა სუვერენულმა სახელმწიფომ ინდივიდუალურად გლობალიზაციასთან ადაპტირების სტრატეგია შეიმუშაოს.

## **თავი II. „XXI საუკუნის გლობალური ფინანსური**

### **კრიზისი: პრობლემები და მათი ანალიზი“**

მეორე თავში განხილულია, ისეთი რთული და კომპლექსური პროცესი, როგორცაა - გლობალური კრიზისის დინამიკა და სახელმწიფოს მართვის პრობლემები, გლობალური ფინანსური კრიზისის ანალიზი და მისი გავლენა საქართველოზე, ასევე განხილულია საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები ფინანსური კრიზისის წარმოქმნისას.

ეკონომიკურ მეცნიერებაში საკმაოდ კარგად და სიღრმისეულადაა გამოკვლეული ეკონომიკური ციკ-

ლების ბუნება და აქედან გამომდინარე, კრიზისების ანატომია, თუმცა ჯერჯერობით დაუდგენელია კრიზისების დროითი სიხშირე, რადგან მათი ცდომილების ინტერვალში რაიმე მკაფიო კანონზომიერება არ იკვეთება. ერთი რამ ფაქტია, მსოფლიო ეკონომიკურ განვითარებას თან სდევს გლობალური კრიზისები და მისი თავიდან აცილების ქმედითი პრევენციული ღონისძიებათა სისტემა ჯერჯერობით არაა დამუშავებული.

საქართველოში შექმნილი ვითარება შეუძლებელია ერთმნიშვნელოვნად დავახასიათოთ. კრიზისი მრავალ მიზეზთა რთული კომპლექსის შედეგი აღმოჩნდა, რომელთაგან უნდა გამოვყოთ, როგორც ყოფილი სსრკ-დან მიღებული მძიმე ეკონომიკური მემკვიდრეობა, ისე ეკონომიკური რეფორმის შედეგად წარმოქმნილი ახალი მწვავე პრობლემები. ასევე ნეგატიური როლი ითამაშა ეკონომიკური რეფორმების ჩარჩოებში განხორციელებულმა ნაჩქარევმა მასშტაბურმა გარდაქმნებმა და სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის დაკნინებამ ეკონომიკური რეფორმების პროცესში. გათვლა საკმაოდ პრიმიტიული იყო: ახალი საბაზრო მექანიზმები, უფრო

მარტივად კი - ბაზარი, თვითონვე გამოასწორებს მდგომარეობას, აღმოფხვრის დისპროპორციებს, უზრუნველყოფს მდგრად ზრდაზე გადასვლას. ამასთან, გათვალისწინებული არ იყო მსოფლიო ეკონომიკის განვითარების, განსაკუთრებით, რეგულირებადი, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების საყურადღებო გამოცდილება. უგულებელყოფილი იყო ეკონომიკური დემოკრატიის საფუძვლები და განაწილების ურთიერთობების თანამედროვე პარამეტრები. რაც შეეხება საქართველოში მიმდინარე რეფორმებს, საზღვარგარეთის მდიდარი გამოცდილებიდან ფაქტობრივად შაბლონად აიღეს მხოლოდ და მხოლოდ ერთი ვარიანტი და ისიც ნაწილობრივად, პრიმიტიულად იყო გაგებული.

აქედან გამომდინარე, ეკონომიკური კრიზისის დაძლევის მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია ევროპისა და აზიის ურთიერთშეჯერებული შეთანხმება, ექსპანსიური საბიუჯეტო პოლიტიკის გატარების შესახებ. ამის შემდეგ თითოეულმა სახელმწიფომ თვითონ უნდა დასახოს კრიზისიდან გამოსვლის გზები. რაც შეეხება



საქართველოს - აუცილებელია პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაცია და ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკის გატარება ქვეყანაში, რაც ხელს შეუწყობს:

- ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებას;
- უცხოური ინვესტიციების მოზიდვას;
- ფისკალური დისციპლინის განმტკიცებას.

დღეისათვის მიმდინარე მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა მკაფიოდ გამოავლინა გლობალური ფინანსური ინსტიტუტების სისუსტე და მათი ფუნქციების არაეფექტურობა. ეს, პირველ რიგში, ვლინდება, მათდამი საზოგადოების ნდობის დაკარგვასა და მათ უუნარობაში ადეკვატურად მოახდინონ რეაგირება მსოფლიოს ახალ გამოწვევებზე. აღმოჩნდა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდს (სსფ) და მსოფლიო ბანკს არ შესწევთ უნარი თავიდან აიცილონ, არა თუ გლობალური, არამედ სხვადასხვა ქვეყანაში განვითარებული ლოკალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისებიც კი. საყურადღებოა, რომ დღევანდელმა მსოფლიო კრიზისმა ეჭვქვეშ დააყენა არა მხოლოდ დღემდე შემუშავებული ეკონომიკური და ფინანსური თეორიები, არამედ გამოავლინა

პრაქტიკული ანტიკრიზისული ბერკეტების უსუსურობა სიტუაციის დარეგულირებაში. მსოფლიო ფინანსური სისტემა შევიდა ღრმა დისბალანსის პერიოდში, ვერცერთმა სახელმწიფომ ვერ შეძლო სათანადო წინააღმდეგობა გაეწია მსოფლიო ფინანსური ბაზრების წამლევავი ტალღისათვის. შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში რეალურად არ არსებობს საერთაშორისო ნორმების შემმუშავებელი ინსტიტუტები, რომლებსაც შეეძლებათ კრიზისის დამლევის კუთხით ქმედითი წინადადებების შემუშავება და შესაბამისი კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღება. ყოველივე ამან დღის წესრიგში დააყენა დღეისათვის ჩამოყალიბებული მსოფლიო ფინანსური არქიტექტურის რადიკალური რეფორმირების აუცილებლობა.

ამიტომაც დღეს სულ უფრო მწიფდება აზრი იმის შესახებ, რომ საჭიროა დღევანდელი მსოფლიო ფინანსური არქიტექტურის რადიკალური ტრანსფორმაცია, რადგან უკვე არაა სადავო, რომ ფინანსური პრობლემების რეგულირების მექანიზმები, როგორც საერთაშორისო, ასევე ეროვნული ფინანსური ინსტიტუტების

დონეზე არაეფექტურია. ფინანსურ-ეკონომიკური პრობლემები დიდი ხანია გასცდა ცალკე აღებული ქვეყნის ჩარჩოებს და მიიღო გლობალური სახე.

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ვერ შეძლო პირველადი მისიის შესრულება – ხელი შეეწყო გლობალური სტაბილურობისათვის. ასევე წარუმატებლად დამთავრდა საკუთარ თავზე აღებული ახალი ვალდებულებების შესრულების მცდელობა, როგორც იყო, მაგალითად, კომუნიზმიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესის მართვა.

**თავი III. XXI საუკუნის დასაწყისის გლობალური  
ფინანსური კრიზისი: გამოცდილება და  
ანტიკრიზისული ღონისძიებები**

მესამე თავში განხილულია ისეთი პრიორიტეტული საკითხები, როგორცაა ახლებური მიდგომები სახელმწიფოს პოლიტიკურ მართვაში - უახლოესი პერიოდის ანტიკრიზისული ღონისძიებების შესახებ და კრიზისის დაძლევის კონცეფტუალური მიდგომები.

ეკონომიკური პოლიტიკა უპერსპექტივოა, თუ იგი

არ შეიცავს ფინანსების ძირითად კონცეფციებს, ასევე უპერსპექტივოა ფინანსების განვითარების ძირითადი კონცეფციები და გამოყენების მიმართულება, თუ ის არ არის გამყარებული სახელმწიფოს პრაქტიკული საქმიანობით, კვლავწარმოების პროცესის ფინანსური უზრუნველყოფით.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის არავითარი მზამოდელი საქართველოსთვის არ გამოდგება, თუ არ იქნა გათვალისწინებული ქვეყნის ეკონომიკური თავისებურებების სპეციფიკა. სულ უფრო ნათელი ხდება, რომ ეკონომიკისაკენ შემობრუნების, წარმოების გამოცოცხლების გარეშე, მხოლოდ ფინანსური სტაბილიზაციისა და ინფლაციის შეჩერების ღონისძიებებს არ შეუძლიათ მოიტანონ სასურველი შედეგები. ეს გათვალისწინებული უნდა იქნეს ანტიკრიზისული კომისიის მიერ, რომლის მთავარი მიზანია ფინანსური სტაბილიზაციის მიღწევა. ფინანსური სტაბილიზაცია წარმოების ამოქმედების გარეშე, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების თვალსზრისით, სურვილის სინამდვილედ წარმოდგენის მცდელობაა.

## რეკომენდაციები და ზოგადი დასკვნები

საბაზრო ურთიერთობის ჩამოყალიბების პირობებში, მსოფლიო გლობალური ეკონომიკური კრიზისის მეცნიერული ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია სათანადო დასკვნები და მოცემულია რეკომენდაციები. მსოფლიოს ახალ ფინანსურ არქიტექტურას ჩვენი აზრით, საფუძვლად შეიძლება დაედოს შემდეგი:

- ღარიბი ქვეყნების ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკის სისტემაში, რაც მათ განვითარებას მისცემს აუცილებელ იმპულსს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ქვეყნები მუდმივ სიღარიბეში დარჩებიან;
- საერთაშორისო კაპიტალის გონივრული და მოწესრიგებული მოძრაობა, რომელსაც თან უნდა ახლდეს მაკროეკონომიკური წონასწორობისა და საბანკო სტრუქტურების გაძლიერებაზე მიმართული ღონისძიებები;
- გამჭვირვალობის ოქროს წესის დაცვა, რაც არის ეფექტური მართვის, წარმატებული ეკონომიკური განვითარებისა და ბაზრების რაციონალური ქცევის ფუნდამენტური საფუძველი;

- ეფექტური სახელმწიფო მართვა და რეგულირება, რაც მოიცავს: კერძო სექტორის საქმიანობის სტიმულირებას, ჩამოყალიბებული მონოპოლიების რღვევას, მართვის უფრო მარტივი და გამჭვირვალე რეჟიმის შემოღებას და სხვა;
- ქვეყნის ნორმების და წესების შემუშავება და მიღება, რაც გულისხმობს, როგორც მსოფლიო, ასევე ეროვნული ბაზრების საქმიანობის უფრო ობიექტურ ზედამხედველობასა და რეგულირებას;
- მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტისადმი მრავალმხრივი, მრავალპროფილიანი მიდგომა და ერთი რომელიმე ქვეყნის ჰეგემონიაზე უარის თქმა.
- ანტიკრიზისულ პროგრამაში, მსოფლიო გლობალური კრიზისის გავლენის თავიდან აცილების, ან შერბილების მიზნით, პრიორიტეტული ადგილი უნდა მიენიჭოს, ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლებას.
- ანტიკრიზისული პროგრამის ერთ-ერთი მთავარი ქვაკუთხედი უნდა გახდეს სახელმწიფო ბიუ-

ჯეტი და საერთოდ ქვეყნის საბიუჯეტო სისტემა. კრიზისი და ბიუჯეტი ერთმანეთთან კაუზალურ ურთიერთქმედებაში იმყოფებიან.

- ანტიკრიზისული რეგულირების ერთ-ერთი სტრატეგიული მექანიზმია ფულად-საკრედიტო პოლიტიკა.
- ანტიკრიზისულ პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფისკალურ და მონეტარულ პოლიტიკებს შორის ოპტიმალური წონასწორობის მიღწევას.
- პროგრამაში საჭიროა ისეთი მექანიზმის შემუშავება, რომელიც მოაწესრიგებს ქვეყანაში შრომის ანაზღაურების სისტემას.
- ანტიკრიზისულ პროგრამაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება.

## ინფორმაცია ნაშრომის აპრობაციის შესახებ

დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებულია შემდეგი სამეცნიერო ნაშრომები:

1. მსოფლიო ფინანსური კრიზისი და საქართველო. საერთაშორისო სამეცნიერო ანალიტიკური ჟურნალი ეკონომისტი. 2011 წელი N4. გვ.71-75;

2. XXI საუკუნის დასაწყისის ეკონომიკური კრიზისის ზოგიერთი თავისებურება. საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოებრივი აკადემია, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტუალი“. 2012 წელი N21. გვ.132-138;

3. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და საქართველო. საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოებრივი აკადემია, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტუალი“. 2012 წელი N21. გვ.139-146;

4. ახლებური მიდგომები სახელმწიფოს პოლიტიკურ მართვაში - უახლოესი პერიოდის ანტიკრიზისული ღონისძიებების შესახებ. საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოებრივი აკადემია, საერთა-



შორისო სამეცნიერო ჟურნ. „ინტელექტუალი“. 2013 წელი N22. გვ.81-87;

5. გლობალიზაცია და მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის ტრანსფორმაცია. საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოებრივი აკადემია, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნ. „ინტელექტუალი“. 2013 წელი N22. გვ.87-93;

6. გლობალური კრიზისის დინამიკა და სახელმწიფოს მართვის პრობლემები. საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოებრივი აკადემია, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტუალი“. 2013 წელი N23. გვ. 254-259;

7. XXI საუკუნის დასაწყისის გლობალური ფინანსური კრიზისის დაძლევის კონცეფტუალური მიდგომები. საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოებრივი აკადემია, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტუალი“. 2014 წელი N27. გვ. 57-62;

8. საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობა ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში. რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“. 2017 წელი №2. გვ. 53-61.

**მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში:**

1. სამეცნიერო კონფერენციის მასალები: მსოფლიო ფინანსური კრიზისების თავიდან აცილების მეცნიერული საფუძვლები. თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2011 წელი. გვ. 276-279;

2. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი: პროფესორ მასწავლებელთა და დოქტორანტთა 74-ე სამეცნიერო კონფერენცია. მოხსენების თემა: უახლოესი პერიოდის ანტიკრიზისული ღონისძიებების შესახებ. თელავი 09.06.2016 წელი;

3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს ინჟინერინგის ფაკულტეტის, სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის და საქართველოს სოციალურ მეცნიერებათა აკადემია: მეხუთე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „მსოფლიო და კავკასია“. მოხსენების თემა: XXI საუკუნის გლობალური ფინანსური კრიზისი და მისი გავლენა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე. თბილისი 17.06.2016 წელი.

**LEPL Iakob Gogebashvili Telavi State University**

With the right of manuscripts

**Nino Tagoshvili**

**Global financial crisis of the XXI century  
and its impact on the world economy:  
problems, analysis, experience**

To obtain the academic degree of Doctor of Economics

Presented the dissertation thesis

**A u t o r e f e r a t**

**/Abstract of the dissertation/**

**Telavi**

**2017**

The work was completed at the Department of Economics and Tourism of the Faculty of Social Sciences, Business and Law at Iakob Gogebashvili Telavi State University (applied economics PhD /doctoral program)

**Scientific Leader: doctor of economics, prof. Maya Gonashvili**  
**Appraisers (reviewers): doctor of economics, associate prof. Maia Aladashvili**  
**doctor of economics, Prof. Lali Chagelishvili**

Protection will be held at the Session of Dissertation Board of the Social Sciences, Business and Law Faculty of Social Sciences, Business and Law, Iakob Gogebashvili Telavi State University: Auditorium small conference room at "13.00\_" , o'clock on 18 bovementer, 2017 year

Address: Georgia, Telavi, 2200  
Georgian University Street N1  
Tel: +995 350 27 24 01

The dissertation and abstract can be acquainted with the library and website of Iakob Gogebashvili Telavi State University  
<http://tesau.edu.ge>

**Secretary of the Dissertation Board**

doctor of economics, associate prof. Nana Rinkiashvili

## **Actuality of the topic**

Political and economic crises have always been, and in the future there will be one of the most important objects of studying economic sciences. This is also natural because of the causes of crisis, the ways of their overcoming, and ultimately its complete analysis, is a necessary condition for immediate overcoming or eliminating similar economic crises. In the long run of human development, humanity has sometimes evolved, more often, in a revolutionary way, to seek a better future that would result in reforming existing political and economic systems or changing their new ones. The chronological framework of the paper covers the entire cycle of economic crises, but emphasized the reasons for the XXI-Century World Financial Crisis and the ways to overcome it.

The crisis of the XXI century is the result of the manifestation of the nature of the behavior of individual social, financial and political interests. - The result was followed by the US, and then the financially governed crisis of the entire world. Hence, it is obvious that the subject of the present work, despite the richness of the papers is dedicated to the study of its individual aspects, it will never lose its sensitivity and it will have a slight novelty or approach to the full understanding of the historical process. Thus, the research of this dissertation is the causes of the global financial

crisis of the XXI century and the search for ways to overcome it, which is one of the most important turning points of recent history.

### **Research Goals and Objectives**

The purpose of the research is to show the current crisis of the current analysis of the current crisis and the global financial crisis. The main goal of research in the dissertation work is the causes and challenges of global economic crisis. Consequently, the tasks set out in the research before the dissertation work examine the following issues: economic strategy; announcement of state monopolies; state control and its functions; monetary policy reduction of banking system liquidity; increase of food and other consumer goods prices; expected defaults of large companies' credit debts; ungrounded sharp drop in real estate prices; disruption of economy management system; demonological crisis; the lack of energy resources.

### **Research subject and object**

The scientific research of the dissertation is the transformation of the world economy as a result of the crisis, and the research objective is the global governments, their economic reforms and its peculiarities due to the crisis.

### **Theoretical and methodological basis of the research**

Theoretical basis of research is the theoretical and applied research of scientists, economists and politicians of local and

foreign countries, as well as theories in economic, statistical, political sciences and philosophy. Theoretical and methodological basis for scientific research of the problematic issues discussed in the dissertation is the modern socio-economic theory, in the history of economics, the works of Georgian and foreign scientists published in doctrines. The work will give you the opportunity to research theories, economic crisis cycles and their measurement, analysis and generalization of economic crises.

### **Scientific novelty of the work**

The thesis represents the historical excursion of economic crisis theories: gathers theories of various economic crises, linking macroeconomic and microeconomic laws to each other and suggests the reasons for economic crisis and economic fluctuations. As well as the conceptual approach to overcoming the global financial crisis of the beginning of the XXI century and a new perspective on the political maneuvers of the state on the anti-crisis measures of the nearest period.

The work deals with the trends and trends of the global economic crisis, the potential for economic growth. In this regard, macroeconomic policy achievements and failures. The paper also offers directions to overcome economic crisis and improve economic growth.

## **Practical meaning of the dissertation work**

Considering the results of the research will help: First, establish the market economy in the country, as well as how the global crisis of dynamics, state management problems. The findings and findings of the research can be used by the relevant authorities in the process of anti-crisis measures. The use of the issues discussed in the work is recommended in the course of studying international business studies, practical aspects of economic stability and growth.

## **Structure and volume of the dissertation thesis**

The dissertation work consists of 159 pages printed on the computer. It consists of annotation, introduction, three chapters, nine sections, research results and recommendations, conclusions and list of literature used and an enclosure in CD.

## **Introduction**

### **Chapter I. Theoretical overview of the global financial crisis of the XXI century**

1.1. The peculiarities of the global financial crisis in the early XXI century in the United States.

1.2. The peculiarities of the global financial crisis in the beginning of the XXI century in Russia and its critical analysis.



1.3. Peculiarities of economic globalization - positive and negative sides.

## **Chapter II. Global financial crisis of the XXI century: problems and their analysis**

2.1. The dynamics of global crisis and problems of state management.

2.2. The global financial crisis of the beginning of the XXI century analysis and its impact on Georgia.

2.3. Globalization and international financial institutions during the financial crisis.

## **Chapter III. The Global financial crisis of the XXI Century: experience and anti-crisis measures**

3.1. New approaches to political maneuvers - the anti-crisis measures of the nearest period.

3.2. Conceptual approaches to overcoming the global financial crisis of the XXI century

3.3. The ways of overcoming the global financial crisis of the XXI century in Georgia.

**Research results and recommendations. Conclusion**  
**Used literature**

## **Chapter I. "Theoretical overview of the global financial crisis of the XXI century"**

This chapter has detailed the reasons for the global financial crisis of the beginning of the XXI century. The peculiarities of the global crisis are also discussed and the positive and negative sides of economic globalization are discussed.

The reason for the crisis is the economically unsubstantiated policy of credit expansion, mistakes made in fair value evaluation and management transparency. These disadvantages have an added appreciation of risks associated with the risk, negligence of loans, and other financial instruments (eg derivatives) and impairment that led to rejection of credit liabilities.

The inadequate regulatory policy of governments contributed to the current crisis. The crisis is a failure of governments and they must answer the question before the society, although the cause of the financial institutions is a criminal act. These crimes are the result of the government's decline. Governments are facing a need for regular reforms. The vulnerability of the vicious processes on the financial market has become a society, reputation and competence of governments, financial institutions have lost confidence.

The reason for the current financial crisis is the United States real estate market deflot.

The crisis is perceived by its anatomy, on the one hand, the danger of living, and on the other hand, we find a favorable opportunity to find the optimal paths. In particular, new fields and market segments will be created, new technologies are created, innovations are utilized to maximize the tendencies of oriented profit maximization, and the method of effective investing in the foreground, using scientific technical progress and the financial sector will move to new methods of management.

At the beginning of the XXI century, the main economic trends in the world industrialized countries forced to change the force and compulsory policy in the relations of dialogue and cooperation with each other. There are two radically different view of the globalization process: first, the progressive globalization process, which will contribute to the development of the world economy and the global threat of certain countries (especially in developing countries and economies in transition) and at the same time, the whole world role of a dangerous trend. Due to the comprehensive and contradictory nature of globalization, the unmistakable attitude towards globalization is quite logical. The first step towards globalization is to understand her as an objective process. Globalization has supporters and adversaries. Supporters focus on positive aspects, and adversaries are negative aspects.

Thus, globalization can be assessed as positively and negatively. In the process of globalization, the country must be able to maximize the negative impacts of economic globalization and risk insurance. Naturally, the country should be able to avoid the negative trends of global economy. It should also be taken into consideration that all the positive side of globalization will not always fit nationally national interests. It is therefore more logical that all sovereign states endeavor to develop an adaptive strategy for individually globalization.

## **Chapter II. " Global financial crisis of the XXI century: problems and their analysis"**

The second chapter deals with a complex and complex process, such as the dynamics of global crisis and problems of state management, global financial crisis analysis and its impact on Georgia, as well as the international financial institutions in the creation of a financial crisis.

In the economic science, the nature of economic cycles is quite well and deeply researched, and therefore anatomy of the crisis, however, it is not yet known that the crisis of time has not been determined, as there is no clear legality in their interval interval. One fact is that global economic development

is accompanied by global crises and the system of effective preventive measures to prevent it is not yet worked out.

The situation in Georgia is impossible to describe unequivocally. The crisis has proved to be the result of a complex of many factors, from which we should identify as a grave economic heritage inherited from the former USSR, as well as new acute problems arising from economic reform.

There was also a negative role in the scope of economic reforms of the rapidly transforming transformations and the decline of the state's regulatory role in the process of economic reforms. The calculation was quite primitive: the new market mechanisms, the simplest, the market itself, would correct the situation, eliminate disproportions, ensure transition to sustainable growth. In addition, the noteworthy experience of the development of world economy, especially the functional, socially oriented market economy. The fundamentals of economic democracy and modern settings of distribution relationships were ignored. As regards the ongoing reforms in Georgia, only one option was obtained from the rich experience of abroad, and it was partially understood primarily.

Therefore, in order to overcome the economic crisis, we believe that the European and Asian interconnection agreement is an expansionary budgetary policy. After that, each state must

set the way for the crisis to come out of the crisis. As for Georgia - it is necessary to stabilize the political situation and implement liberal tax policy in the country that will support:

- improvement of business environment;
- attracting foreign investments;
- fostering fiscal discipline.

The current global financial crisis has dramatically demonstrated the weakness of global financial institutions and their inefficiency. This, first of all, reveals the loss of public trust in them and adequately respond to the new challenges of the world. It turned out that the International Monetary Fund (IMF) and the World Bank are not capable of avoiding the global financial and economic crises developed in different countries. It is noteworthy that today's global crisis has questioned not only the economic and financial theories developed yet, but also the weaknesses of practical anti-crisis leverages in the regulation of the situation. The world financial system entered a deep imbalance, with no government able to provide adequate resistance to the wave of world financial markets. It can be said that there are no institution of international norms that can effectively develop effective proposals and tackle collective decisions in the world.

All of this necessitated radical reform of the world financial architecture established today.

That is why today it is becoming increasingly ripe about the radical transformation of today's world financial architecture, since it is no controversy that the regulation mechanisms of financial problems are not as effective as the international and national financial institutions. Financial-economic problems have long gone beyond the boundaries of a separate country and received a global look.

The International Monetary Fund failed to fulfill its primary mission - promoting global stability. It was also unsuccessful to try to fulfill the new obligations taken on itself, such as the management of transition from commerce to market economy.

### **Chapter III. The global financial crisis of the XXI century: experience and anti-crisis measures**

The third chapter deals with the priority issues such as new approaches to political governance - the anti-crisis measures of the nearest period and conceptual approaches to overcoming the crisis.

Economic policy is unreasonable if it does not contain basic concepts of funding and the main concepts of development of finances and the use of the application is not supported by the practical work of the state, with the financial support of the process of reproduction.

No ready-to-model of transition to market economy will not be used for Georgia unless specifically specified in the economic characteristics of the country. It becomes even clearer that the financial stabilization and inflation suspension measures can not be achieved without the revitalization and production of the economy. This should be considered by an anti-crisis commission, whose main goal is to achieve financial stabilization. Financial stability is an attempt to represent the will of the nation without the enactment of the production, in terms of national-state interests.

### **Recommendations and general conclusions**

In the context of market relations, the global analysis of the global economic crisis is based on relevant findings and recommendations. The new financial architecture of the world in our view can be based on the following:

- Integration of poor countries into the world economy system, which will give them the necessary impulse. Otherwise, these countries will remain in permanent poverty;
- The reasonable and regulated movement of international capital must be accompanied by measures aimed at strengthening macroeconomic equilibrium and banking structures;



- Protection of the Golden Rule of transparency, which is the fundamental basis of effective management, successful economic development and rational behavior of markets;
- Effective state management and regulation, which includes: stimulating of private sector activities, breaking up of monopolies, introduction of a more simpler and transparent regime of management, etc.
- Develop and adopt the norms and rules of conduct, which implies more objective supervision and regulation of the world as well as national markets;
- Multilateral, multiprofile approach to the solution of world financial and economic problems and refusal of hegemony in one of the countries.
- In the anti-crisis program, for the purpose of preventing or mitigating the impact of global crisis, priority should be given to increase the quality of economic independence of the country.
- One of the main cornerstones of the anti-crisis program should be the state budget and the country's budget system. The crisis and the budget are in good relations with each other.

- One of the strategic mechanisms of anti-crisis regulation is the monetary credit policy.
- The anti-crisis program should pay particular attention to the optimal balance between fiscal and monetary policies.
- The program needs to work out mechanisms that will regulate the system of remuneration in the country.
- One of the key factors in the anti-crisis program is to strengthen the fight against corruption.

## **Information about the approbation of the work**

**The following scientific works are published on the subject of dissertation:**

1. World financial crisis and Georgia. International Scientific Analytical Journal Economist. 2011 year №4. Pp. 71-75

2. Some of the peculiarities of the economic crisis of the beginning of the XXI century. Georgian Young Scientists' Public Academy, International Scientific Journal "Intellectual". 2012 year №21. p.p.132-138

3. World Economic Crisis and Georgia. Georgian Young Scientists' Public Academy, International Scientific Journal "Intellectual". 2012 year №21. P.139-146

4. New approaches to political maneuvers - the anti-crisis measures of the nearest period. Georgian Young Scientists' Public Academy, International Scientific Journal "Intellectual". 2013 year №22. P.p.81-87

5. Globalization and transformation of world economic order. Georgian Young Scientists' Public Academy, International Scientific Journal "Intellectual". 2013 year №22. P. P.87-93

6. The dynamics of global crisis and problems of state management. Georgian Young Scientists' Public Academy, International Scientific Journal "Intellectual". 2013 year №23. P.p. 254-259

7. Conceptual approaches to overcoming the global financial crisis at the beginning of the XXI century. Georgian Young Scientists' Public Academy, International Scientific Journal "Intellectual". 2014 year №27. P. p. 57-62

8. The activity of international financial institutions in the conditions of globalization of economy. Referential and reviewed international scientific-practical journal "Economics and Business". 2017 year №2. P. p. 53-61

### **Participation in the scientific conferences:**

1. Scientific conference materials: scientific basics of preventing global financial crisis. Tbilisi: International Publishing "Progress", 2011 year. P. p. 276-279.

2. Iakob Gogebashvili Telavi State University: 74th scientific conference of professors and doctoral students Topic of the report: about the anti-crisis measures of the nearest period. Telavi 09.06.2016 year.

3. Georgian Technical University, Faculty of Business Engineering, Social Sciences Department and Georgian Academy of Social Sciences: Fifth International Scientific Conference - "World and Caucasus" The theme of the report: Global financial crisis of XXI century and its impact on South Caucasus countries. Tbilisi 17.06.2016 year.